სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 23 0000103347

31/01/2023

სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 26 ნოემბრის N01-06-02/49 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებს (გარდა პირველკურსელი და მობილობის წესით ჩარიცხული (გარე მობილობა) სტუდენტებისა), მიეცეთ უფლება სწავლის საფასური გადაიხადონ ოთხ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით:
გადასახდელი სწავლის საფასურის მინიმუმ 1/4 - მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე, 1/4 - მიმდინარე სასწავლო წლის 01 დეკემბრამდე, 1/4 - მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე, 1/4 - მიმდინარე სასწავლო წლის 01 ივნისამდე.
2. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის პირველკურსელ, აგრეთვე მობილობის წესით ჩარიცხულ (გარე მობილობა) სტუდენტებს მიეცეთ უფლება სწავლის საფასური გადაიხადონ შემდეგი წესით:
გადასახდელი სწავლის საფასურის მინიმუმ 1/2 - ჩარიცხვის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ხოლო დარჩენილი გადასახდელი სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი წესით, შესაბამისი სემესტრისთვის დადგენილი ვადების შესაბამისად.

3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის (გარდა ამ ბრძანების მე-4 პუნქტში მითითებული პირებისა) - ერთი წლის (60 ECTS კრედიტი) სწავლის საფასური განიაზღვრება - 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სტუ-ში ჩარიცხული ან მობილობით (გარე მობილობა) გადმოსული პირებისათვის, ხოლო 2022/2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 26 ნოემბრის N01-06-02/49 დადგენილების საფუძველზე ერთი წლის (60 ECTS კრედიტი) საფასური განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52^1 მუხ ლის მე-7 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის:

ა.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4500 ლარი;

ა.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 5500 ლარი;

ა.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი.

ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის:

ბ.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;

ბ.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობა არ ვრცელდება 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე და მათთვის სწავლის საფასურის ოდენობა რჩება უცვლელი, გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა. ამ ბრძანების მიზნებისათვის სტატუსის შეჩერებად არ ჩაითვლება ერთიდაიმავე სემესტრში სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შემთხვევა.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2016 წლის 29 აგვისტოს №155 ბრძანება.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით